

„მე შენ მიყვარდი, შენ მნახდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შევექლო“...

ნიკოლაჟის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №6 (295) 23 ივნისი 2020 წელი; ფასი 1 ლ.




ოქტომბრამდე დანტაბილიზაცია
იის ბევრი მსდელობა იქნება
ბუნებისგან და
სახელმწიფოსგან
გამეტეხული ადამიანები
შეზღუდული ცხოვრების პირისპირ.
ოსნებაში ჩავიცი 30 წელი, ანა
დახსნაჯიჯიჯი სსოჰიჯა...
მე-2-გგ



ფოთის პორტში
ახალი გერმანული
წელიწადსა და ორ თვეში
აშენდება
მე-2-გგ

პანდემია და მასთან
ბრძოლა
ფოთს აქვს მფვანე
ზონის სტატუსი,
გაუფრთხილდეთ!
მე-3-გგ




COVID-19-ის მიუხედავად,
საქართველოს
პორტებისა და რკინიგზის
დატვირთვა გაზრდილია
მე-3-გგ



კაცი ლეგენდა,
ზღვის ღომი იალქნიანი
„ვაჯისით“
მსოფლიოს გარშემო
ჯუშეარ
(ჯუჯი) სოფია
მე-5-გგ

ფოთში
საქველმოქმედო ფონდ
„ქართუს“ მიერ ორი
ისტორიული შენობის
რეაბილიტაცია იგეგმება.
მე-4-გგ



მივიწყებული პორტრეტები
ქაკუ აბრალავა -
ხალხური სიმღერის
ოსტატი
მე-7-გგ



ფოთის სანტრალურ
სტადიონზე მემორა
ჯიჯის საშუაოები
მიმდინარეობს
მე-3-გგ

ქალაქის კულტურისა
და დანტანების პარკის
რეკონსტრუქცია
სახეს შეუძვლის
აქაურობას
მე-4-გგ



ნოე და მისი შვილები
(რწმენით გაღიარე მეო
ღვთისაო, იაფეთის წიადში!)
მე-6-გგ



2021 წლის ბიუჯეტის
პრიორიტეტებზე
სამუშაო შეხვედრა
გაიმართა
მე-3-გგ



ინფრასტრუქტურული
პროექტების
მონიტორინგი
მე-3-გგ

ბორის კაიჭაძის
ქალაქში
ბავშვთა
საფეხბურთო
ცენტრი შენდება
მე-4-გგ



ფოთში ჯანდაცვის
ორი ახალი
პროგრამა
ამოქმედდა
მე-4-გგ

ოქტომბრამდე დანახილიზის ბაზრი მსჯელობა იქნება

ბუნებისგან და სახელმწიფოსგან გამომდინარე ადამიანები უფლებული ცხოვრების პირისპირ.

მსჯელობა იქნება 30 ნაი, ანუ დაახლოებით სხვადასხვა...



სახელმწიფო და ადამიანი - ამ ორი ფენომენის ურთიერთობა 21 საუკუნეშიც არ არის დაბალანსებული და კარგა ხანს იქნება გაურკვეველი...

სამწუხაროდ, ამ მხრივ არცერთი ფორმაც არ ყოფილა სრულყოფილი, არც კაპიტალიზმი და არც სოციალიზმი...

21 საუკუნეში პრობლემა რჩება სოციალური მდგომარეობა, განსაკუთრებით განვითარება ქვეყნებში, ასეა საქართველოში...

სამწუხაროდ, სოციალიზმმა და კაპიტალიზმმა დაკარგა ადამიანი და ამის დაემატა ბუნებრივი კატაკლიზმები...

ასე რომ, ადამიანი შეიზღუდა, სოციალური და ბუნებრივი პარამეტრებით, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა პანდემიის პირობებში.

ქართველ კაცს სოციალური თავისუფლების მოლოდინი, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ჰქონდა. 1991 წლის 9 აპრილიდან 29 წელი გავიდა...

30 წელი პოლიტიკურ კინკლაობას მოუწოდებდა, სულ შეცდომებზე ვიარეთ, იყო სამოქალაქო ომი, დაკარგეთ ტერიტორიები, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დღესაც საფრთხის ქვეშაა...

ევროპაში კარგა ხანია ჩაეხვეწა ქრისტიანობის მზე და შედეგებსაც იმკის. საქართველო დღითიურმა გზამ მიიყვანა აქამდე...

აშშ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, თვისი კონსერვატორული შეხედულებებით-სამშობლო, პატრიოტიზმი, ოჯახი, შეიძლება დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს და არჩევნები წააგოს...

საქართველო რამდენიმე მიმართულებით არის დასაცავი, ეს არის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ეკონომიკა და სულსადაც...

საქართველოს ეკონომიკური მერყეობა 30 წლიანი კორუფციის შედეგია, არადა, დახმარების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ ფულს გადმოვიცხვებ...

ასე რომ, შეგვეძლოს დაქარბული განითარება, განათლების, მეცნიერების დარგების აღდგენა, ქვეყანა მხოლოდ ტერიტორიისა და ტრეანხიტის იმედზე ვერ იქნება...

ქვეყანა რჩება, სადაც ადამიანებს გარანტირებული აქვთ სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლება.

ეს ყველაფერი დამოკიდებულია ხელისუფლებაზე და ხალხის არჩევანზე.

რა ხდება პოლიტიკურ ველზე? წინა პლანზე რევოლუციური სულისკვეთება, რომელიც მოდის არა ხალხიდან, არამედ ოპოზიციიდან, რომელიც მიხეილ სააკაშვილის გვერდით დგება...

უნდა დამთავრდეს არაფორმალური მმართველობა, როცა ერთი კაცია ლოკომოტივის როლში და შეუძლია წამოგაყვანოს - მე მოგიყვანე ხელისუფლებაში, არადა, პარლამენტში ნიჭიერებამ და პროფესიონალიზმმა უნდა მოგიყვანოს...

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ნაცებთან ბრძოლა აშშ კონგრესმენებთან ბრძოლას ნიშნავს, რომლებიც ისევე გვიქნევენ თითს და რუსეთის აგენტებად მოგვიანებენ...

ნატო- რუსეთის ურთიერთობა ისევე დაძაბულია, და თავდასხმების მოლოდინში მილიარდებს ხარჯავენ შეიარაღებაზე, როცა პანდემია ხრავს მსოფლიოს. არადა, ომი ორივეს მოსაპოვებელია...

უბრალო ხალხი ეწირება პოლიტიკურ თამაშებს. დღემდე გრძელდება მისი გაჭირვებით სპეკულაცია და ესაა დემოკრატიის მამოძრავებელი ძალა, რომელიც თანდათან მიიღევა...

თებდა და არა პირად ინტერესებს გადააყოლებდა საზოგადოს. ამიტომ მიანჩია ბევრს არჩევნები დროის გაფლანგვად, ისევე გაიმარჯვებს ვიღაცა, ისევე იქნება პრიორიტეტები ევროპა, ნატო და ანაკლია - ტერიტორიების დაბრუნება.

ხალხი ისევე იქნება დემოკრატიის ატრიბუტი, საარჩევნო მასალა და ასე გადის დრო არჩევნებიდან არჩევნებამდე, ქართული დემოკრატია ჯერ კიდევ ევროპის ჩრდილშია...

ქვეყნის პოლიტიკური სურათი ასეთია - ვითომ დემოკრატია, ვითომ პოზიცია და ოპოზიცია, ვითომ პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა. ხალხი იქცა ხელისუფლების წყაროდ, ხელისუფლება - კორუფციის...

30 წელი დაუსწრებელი ცხოვრება, დაკარგული წლები, თითქოს ჩვენი არ იყო ეს დრო, რომელიც ერთხელ გეძლევდა ადამიანური ცხოვრებისათვის და კონსტიტუციით არის გარანტირებული, მაგრამ ცხოვრებაში ასე არაა...

ქვეყანას სჭირდება ძლიერი მედიცინა, სამეცნიერო კერებით. მედებს ქვეყანა - მედიცინა მსოფლიოში აღიარა მისი სახელი. პატარა სახელმწიფოს აქვს ამის საფუძველი, ამის მაგალითია ისრაელის სახელმწიფო, რომელიც 70 წელიწადში მოახერხა ქვეყნის აყვავება...

საქართველოს ბედი გავს ისრაელისას, ისიც გაფანტულია მთელ მსოფლიოში და ამ გენისა და ინტელექტის თავმოყვრა აუცილებელია ქვეყნის გადასარჩენად...

მომავალი თაობა უნდა მოვიდეს პოლიტიკაში ახალი ფასეულობებით, სიახლეებით. სამშობლოს სიყვარულით...

მანამ კი ცხოვრება თავისი გზით მიდის, შიშისა და ტკივილის პარალელურად. ბევრს ხიდზე გავდივართ, უაზრო რვეყნი მას გაწვევებს, არადა, მავანნი კვლავაც ამზადებს დესტაბილიზაციის კერებს (გაბუნიას საქმე დასაწყისია) და არაეინ იცის, დენტის კასრი სად და როდის აფეთქება...

ზ. აბრალაშვილი

ფოთის პორტში ახალი ტერმინალი ნელინა და ორ თვეში აშენდება



ფოთის პორტში, "პეის ჯგუფის" მიერ ახალი ტერმინალის მშენებლობა დაახლოებით წელიწადსა და ორ თვეში დასრულდება. ამის შესახებ "პეის ჯგუფის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი თათეიშვილმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, მშენებლობას ქართულ-პოლანდიური კონსორციუმი ახორციელებს. ახალი ტერმინალი ძირითადად, შუა აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან წამოსულ ნაყარ ტვირთებს მოემსახურება. ტერმინალს ნავისადგომიც ექნება, რომლის სიგრძე 260 მეტრი, ხილრმე კი 12.5 მეტრი იქნება.

“დღევანდელი მდგომარეობით ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გვეყავს, რომელიც განახორცილებს მშენებლობას. მშენებლობის პროცესი პრინციპში, დაწყებულია, დაახლოებით თვენახევრის წინ შევიდა კომპანია სამშენებლო ტერიტორიაზე. ვფიქრობთ, რომ წელიწადსა და ორ თვეში მშენებლობა დამთავრდება და შესაძლებელი იქნება ტერმინალის მთლიანად დატვირთვა”, - განაცხადა ირაკლი თათეიშვილმა და დასძინა, რომ ტერმინალის სიმძლავრე წელიწადში დაახლოებით 3 მილიონ ტონა იქნება.

რაც შეეხება ტერმინალის დატვირთვის პერსპექტივას, როგორც "პეის ჯგუფის" გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, ნაყარ ტვირთებში საკმაოდ დიდი ზრდა შეიმჩნევა.

“როგორც წინა წელს, წელსაც ვფიქრობთ, რომ აქაც ზრდა გვექნება 10-15%-ით. ძირითადად, ეს ისევე არის შუა აზიის ქვეყნები, სადაც ახალი წარმოებები გაეშვება. მათი გამოშვებული პროდუქცია ევროპისა და მსოფლიოს ბაზარზე უნდა გავიდეს. გვინდა, რომ ეს ყველაფერი ფოთის ნავსადგურის, ჩვენი ტერმინალის გაფლით მოხდეს”, - განაცხადა ირაკლი თათეიშვილმა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ამ ეტაპზე ორი დრმაწველოვანი ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხი განიხილება (ფოთის პორტში დრმაწველოვანი ნავსადგურის მშენებლობა და ანაკლიის პორტი), "პეის ჯგუფის" გენერალურმა დირექტორმა ორი ასეთი პორტის საჭიროებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ რაც მეტი პორტი იქნება, ქვეყნისთვის მით უკეთესია.

“დატვირთვას რაც შეეხება, პორტებს შორის კონკურენცია იქნება და ვინც გაიმარჯვებს, იმას ექნება მეტი ტვირთი, მაგრამ თვითონ ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, რაც მეტი პორტი იქნება, მით უკეთესია”, - მიიხსენებს ირაკლი თათეიშვილი.


შეგახსენებთ, რომ პეის ჯგუფი ფოთის პორტში 8 ნავმისადგომსა და ტერ-

მილანს ფლობს. ახალი ტერმინალის მშენებლობა 120 მლნ აშშ დოლარი ჯდება.

რაც შეეხება ფოთის პორტში ტერმინალის-ის გვეგებს, 2020 წლის 11 თებერვალს APM-მა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, ახალი ტერმინალის მშენებლობისთვის მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ მიმართა განცხადებით.

APM-ში აცხადებენ, რომ ისინი არსებული პორტის გაფართოებას და გადამავებას გეგმავენ. კერძოდ კი, -ის ცნობით, კომპანია \$250 მილიონის ინვესტირებას და 13-14.5 მეტრის სიღრმის ფარგლებში ახალი ნაშენადგომის მოწყობას გეგმავენ. ეს ფოთის პორტის მიერ ანალოგიური ნებართვის მისაღებად შეტანილი უკვე მეორე განცხადებაა.

COVID-19-ის მიუხედავად, საქართველოს პორტებისა და რკინიგზის დაზვიანება გაზრდილია



საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში გატარებული ტვირთების მოცულობა გაზრდილია, ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მიმოხილვიდან ხდება ცნობილი. დოკუმენტის მიხედვით, იანვარ-აპრილის პერიოდში ქვეყანაში ჯამურად გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 12.2 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებლებს 2.5%-ით აღემატება.

2020 წლის პირველ ოთხ თვეში საქართველოს უმსხვილესი პორტის - ფოთის პორტის ტვირთბრუნვამ 2.7 მილიონი ტონა შეადგინა, ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით უცვლელია. სხვა პორტებში არსებული დატვირთვის მოცულობა კი გაზრდილია. ჯამურად, ყველა პორტში დამუშავებული კონტეინერების რაოდენობა 185.6 ათასს შეადგენდა, ამ მხრივაც ზრდა 1.8%-ია.

• ფოთის პორტი - 2.7 მილიონი ტონა, ცვლილება 0%;

• ყულევის ტერმინალი - 0.6 მილიონი ტონა, ზრდა 50%;
 • ბათუმის საზღვაო ნავსადგური - 1.1 მილიონი ტონა, ზრდა 10%;
 • სუფსის საზღვაო ტერმინალი - 1.5 მილიონი ტონა, ზრდა 25%.

რაც შეეხება საქართველოს რკინიგზას, მის მიერ გადაზიდული ტვირთების ჯამური ოდენობა 3.6 მილიონ ტონას შეადგენს, რაც 2019 წელთან შედარებით 5.8%-ით მეტია. საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვის ზრდის მიუხედავად, 2020 წლის პირველ კვარტალში კომპანია მაინც სოლიდურ ზარალზეა. კომპანიის პირველი კვარტლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, იანვარ-მარტის განმავლობაში ჯგუფის კონსოლიდირებული შემოსავლები მართალია 23.7%-ით იყო გაზრდილი და 122 მილიონ ლარს შეადგენდა, თუმცა ამაზე ბევრად მეტად გაიზარდა რკინიგზის ხარჯები, რის გამოც კომპანიამ წლის კვარტალი 163.5 მლნ ლარის ზარალით დაასრულა.

“საქართველოს რკინიგზის” ფინანსური ანგარიშის მიხედვით, ხარჯების ზრდის მთავარი წყარო კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი იყო. პერიოდის განმავლობაში კომპანიამ კურსთაშორისი სხვაობიდან გამოამდინარე 188.9 მილიონი ლარის ზარალი მიიღო. შესაბამისად, ეს თანხა, საოპერაციო მოგებას ვეღარ დააბალანსა და ფინანსურ შედეგებში 163-მილიონიანი ზარალი აისახა.

2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებაზე საუბარო შეხვედრა გაიმართა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე იმსჯელეს. მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვასა და პრიორიტეტების განსაზღვრაზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში მიმდინარეობს მუშაობა.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გონა კურდღელიამ მოადგილეებთან და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად ის პროგრამები და პროექტები განიხილა, რაც ქალაქის მთავარ საფინანსო დოკუმენტში იქნება ასახული.

მიმდინარე წელს ქალაქში ჯანდაცვის ორი ახალი პროგრამა, ხოლო ინფრასტრუქტურული კუთხით 5 ახალი პროექტი განხორციელდა. თანადაფინანსდა მოსახლეობის ყოფითი და სოციალური პრობლემის მოგვარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტები.

ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი



ქალაქ ფოთის მერი გონა კურდღელიამ, მოადგილესთან კონსტანტინე თოფჩიაშვილთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეთმცოდნეო-სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან ლევონ პარპალიანთან ერთად, ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო. კუნძულის უბნის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც უბნის ეკონომიკური განვითარების, ისე ქალაქის ტურისტული პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით.

მეორე ეტაპის სამუშაოები საფეხმავლო ბილიკისა და ძირითად ჯებირის აღდგენა-რეკონსტრუქციას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და

კომპლექსის მშენებლობას, მინისაფეხბურთო მოედნის და მცირე ზომის დასასვენებელი სკვერის მოწყობას ითვალისწინებს. ავტობარკის მშენებლობა მიმდინარეობს მშვიდობის ქუჩაზე-სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “იმედი” ასრულებს.

დეპო განკუთვნილია საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის, რომელსაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (დ) მიერ დაფინანსებული, ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის აგვისტოში 6 ახალი ავტობუსი შეემატება.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკში. პროექტის ფარგლებში მოხდება საფეხმავლო ბილიკების, სათამაშო მოედნების, ატრაქციონების, სკამების, სასმელი წყლის შადრევნების, დეკორაციული განათების ბოძების მოწყობა. მოხდება პარკის მწვანე ნარგავებით შევსება. განახლებული დარგვების სივრცე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

კანელია და მასთან ბრძოლა ფოთს აქვს მფხანე ზონის სტატუსი, გაუფრთხილდით!



„ჩვენ ერთობლივი შრომით და ძალისხმევით შევძელით, რომ ყველაზე რთულ პერიოდში ფოთს ჰქონოდა მწვანე ზონის სტატუსი. მინდა მადლობა ვუთხრა კორონა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებაში ჩართული თითოეულ პირს, ორგანიზაციას, სახელმწიფო უწყებას თუ კერძო სექტორის წარმომადგენელს. გაწეული იქნა კოლოსალური შრომა ჩვენი მოქალაქეების დასაცავად ინფექციისგან“ - განაცხადა ქალაქ ფოთის მერმა გონა კურდღელიამ.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილმა მოსახლისეთა ჯგუფებმა, მონაწილეობა მიიღეს უფასო სასადილო ბენეფიციართათვის საკვების შინ მიტანის პროცესში, ბანკების ფილიალებთან და ბანკომატებთან, აგრეთვე სასურსათო მაღაზიებთან მოქალაქეთა რიგების მოწესრიგებაში.

სადეზინფექციო ღონისძიებები ჩატარდა ადმინისტრაციულ შენობებში, სავაჭრო ობიექტებში. საქალაქო ტრანსპორტში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში. სარეკონსტრუქციო წერილები გაეგზავნა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს.

მოირეცხა და სადეზინფექციო ხსნარის გაფრქვევა მოხდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და

აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქალაქში დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები. გაიკრა გამაფრთხილებელი სტიკერები, მოხალისეები დღის განმავლობაში ორჯერ, დღიისა და საღამოს საათებში გადაადგილებოდნენ ქალაქის ტერიტორიაზე და მეგაფონით მოუწოდებდნენ მოქალაქეებს შინ დარჩენისკენ. სურსათისა სავაჭრო ობიექტებში რამდენიმე ეტაპად დარიგდა პირბადეები და სადეზინფექციო საშუალებები.

საგანგებო რეჟიმის პერიოდში ა(ა)იპ სოციალური მომსახურების ცენტრის სასადილო გადასული იყო შინ მიტანის სერვისზე.

მედიკამენტები და საკვები დაურიგდათ 60 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეებს, შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს, ვირუსის გამო, დროებით უმუშევარ ოჯახებს, ხოლო ა(ა)იპ სოციალური მომსახურების დაწესებულებამ აღსაზრდელებისთვის განკუთვნილი პროდუქტი სასურსათო ამანათის სახით 2 ეტაპად დაარიგა.

4 აპრილიდან „ვეექსის“ ბაზაზე გაიხსნა ცხელების ცენტრი. გაძლიერდა კონტროლი სატვირთო გადაზიდვებზე. ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერით აეროპორტის ტერიტორიაზე მოეწყო ტირ-პარკი, სადაც სატვირთო ავტოსაშუალებების მძღოლები ელოდნენ ტვირტს.

ყოველდღიური მონიტორინგი ტარდებოდა აგრარულ ბაზარსა და სასურსათო მაღაზიებში. მერიაში მოქმედებდა ქოლ-ცენტრი, სადაც შემოსულ ზარებზე ხდებოდა მყისიერი რეაგირება.

საგანგებო რეჟიმის პერიოდში დახმარება გაეწია 7000 -ზე მეტ ოჯახს.

ფოთში საქალაქო ფონდ ქართუს მიერ ორი ისტორიული შენობის რეაბილიტაცია იგეგმება.

მიმდინარეობს მუშაობა ყოფილი უშიშროების სამსახურის შენობისა და ა(ა)იპ სამხატვრო სასწავლებლის შენობების რეკონსტრუქციის პროექტზე. სარემონტო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება.

აღმაშენებლის ქუჩაზე ისტორიული ნაგებობა მოდერნის სტილში, 1901-1910 წლებში არქიტექტორ ედმუნდ ფრიკის ავტორობით აშენდა. ნაგებობა, სხვადასხვა არქიტექტურული დეტალებით, კონფიგურაციებით, დეკორატიული და მხატვრული ელემენტებით ხასიათდება. შენობაში წლების განმავლობაში “სახელმწიფო უშიშროება” იყო განთავსებული.

თამარ მეფის ქუჩაზე, წითელი აგურითა და თეთრი ქვით ნაგებ შენობას, არქიტექტურული ელემენტებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ოზია ჯანიანი სახელობის სამხატვრო სკოლის შენობა აგებულია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის პერიოდში; შენობის ავტორი არქიტექტორი ედმუნდ



ფრიკია.

სამხატვრო სკოლას 2012 წელს ჩაუტარდა ნაწილობრივ რეაბილიტაცია, შეკეთდა სახურავი და გამოცვალა გარე კარ-ფანჯრები.

რეკონსტრუქციის შედეგად ორივე შენობა სრულად იქნება აღდგენილი და დაიბრუნებს პირვანდელ ისტორიულ იერ-სახეს.

პროექტი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ალექსანდრე მოწერელიას უშუალო ჩართულობით განხორციელდება.

ფოთის ცენტრალურ სტადიონზე მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს



პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 5 მილიონ 300 ათას ლარს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მაქროქონსტრაქშენ“ ასრულებს.

ფოთის ცენტრალურ სტადიონზე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები, რომლის პროცესს ფოთის მერი გონა კურდღელია ა(ა)იპ სპორტისა და ტურიზმის ცენტრის დირექტორთან ბექა გუგუშვილთან ერთად გაეცნო.

პროექტის მიხედვით, შენდება სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნები, დაგეგმილია აგრეთვე სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა.

პოეზია

ასაკი
მადგმდის მქმინია,
აბ მრუდდა მინი აღბე,
დბდ სკამად დამიგბდურა,
მინაფრქმა ბდამადე.
ვაკვიბდრედი მბუღენქმს,
ეს ასაკის თანხეიდია!
ვინც უბ უგემს ასაკდუნს
მე თუ მკითხე თაჟხეიდა.

წესიები

ყველა წესიებს ვაღრემუღუმ
დისდმბდტტს უდმინს

ნათ თოღუა
ცნობილი მეფეტურე და სხხლბო მოქმელი

მესტურუმბდრე,
აბ მესტურუმბ აბასდბდს მიცაჟს,
ამ უგნეიბის მეგუმბდრე!

სხეას

თუ სხეას ტუდრე გაცისქენიმ,
ინფრეჟი აბ გბბგუმს,
ვინც გიცუჟმა უნდა მისეიდეს,
მის იბიჟს ეს აბ აბგუმს!

დამმეგრემელი!
დამმეგრემელს წესად თუ ადეს,

დამეგრემის მანფია
მასთან შენი სიასლბე
უხისმბუნდ თაქფია!

უკადრემელი!

უკადრემელი ბდ იკადბდ,
ტუდი გამბდსაჟალია,
დისასჟდ კდცად დანჩე
ეს ზნეიბის წამალია,
მუბმიღუმბს ვინც ვი



დელიდმს
ტუდი მუამაჟალია!
სხეანაიბად ვინც
ამას სჟის,
ყდყდბინა მამალია!.

ფოთში ახალი საბავშვო ბაღის
მშენებლობა იწყება




9 აპრილის ხეივანზე, 5 სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულების ადგილას, ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება. 120 აღსაზრდელზე გათვლილი დაწესებულება 2021 წელს შევა ექსპლუატაცი-აში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გონა კურდღელიამ, მერის მოადგილემ პაატა ლავგილაჟამ, ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლებთან და არქიტექტორებთან ერთდ მშენებლობის ტექნიკური საკითხები განიხილეს.

პროექტის ღირებულება 800 ათასი ლარია. იგი ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოს, გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (ფჭ), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ირაკლი ხახუბიას ჩართულობით.

დევნილი ოჯახების საკუთრებაში
არსებულ მიწებზე სახლები აშენდება



ლია. დევნილთა განსახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, 100 სახლი დასაველთ საქართველოში, 22 კი შიდა ქართლის რეგიონში აშენდება. შერჩეულ ოჯახებს, მშენებლობის დასრულების შემდგომ, შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით, გრანტებიც გადაეცემათ.

პროექტში მონაწილეობის მსურველ დევნილ ოჯახებს განაცხადების შევსება, ქვეყნის მასშტაბით, იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში შეუძლიათ. აუცილებელია ვიზიტის წინასწარი დაჯავშნა პორტალზე - WWW.MY.GOV.GE მომსახურების ველში იძულებით გადაადგილებულმა პირმა უნდა აირჩიოს - სერვისები დევნილთა და ეკომიგრანტთათვის.

განაცხადების შევსება ასევე შესაძლებელია დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში შემდეგ მისამართებზე:

- ზუგდიდი - აღმაშენებლის ქ. 106;
- ქუთაისი - აბაშიძის გამზ. 27;
- გორი - სამების ქ. 1;
- რუსთავი - ცურტაველის ქ. 5ა.

ბორის კაიჭაძის ძალაქში
ბავშვთა საფეხურთო ცენტრი მშენდება



ზაფხულში იგეგმება. ფოთის საფეხურთო ცენტრის მშენებლობის შესახებ კომენტარი სფფის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა გააკეთა: “ფეხურთის ფედერაციის გუნდთან ერთად საფეხურთო ცენტრის მშენებლობა მოვიწინააღმდეგებთ. აქ ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია და მშენებლობა მალე დასრულდება. ჩემთვის აღნიშნული პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას და ბავშვებს დაეხმარება, რომ ამ ადგილზე საფეხურთო სკოლა აშენდებოდეს.

საქართველოს ფეხურთის ფედერაციისა და უფას დაფინანსებით ფოთის საფეხურთო სკოლის ტერიტორიაზე ხორციელდება, ადგილზე მოეწყობა ორი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული ზომის მოედანი ხელოვნური განათებით, ტრბუნით და ადმინისტრაციული შენობით. მშენებლობა 2019 წლის ივლისში დაიწყო და დასრულება მიმდინარე წლის

მიხარია, რომ ეს პირობა შესრულდა და ძალიან მალე ფოთში ჩვენს ქვეყანაში ფეხურთის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი გაჩნდება. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი ბავშვისთვის ეს იქნება მოტივაცია, რომ ფეხურთში ჩაერთონ. ეს კი, განაპირობებს ფეხურთის მასობრიობას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქართული ფეხურთის მომავალზე.”

სამშენებლო სამუშაოს ახორციელებს სამშენებლო კომპანია “სფრინგ ქონსტრაქშენი”. პროექტის ღირებულება 4 მილიონ ლარს შეადგენს.

ფოთში ჯანდაცვის ორი ახალი პროგრამა
ამოქმედდა:



მიმდინარე წლიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით ფოთში ჯანდაცვის ორი ახალი პროგრამა ამოქმედდა:

დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის მომსახურება ჯანსაღი მომავალი თაობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში გავრცელებული პათოლოგიების, კერძოდ: თვალისა და ხერხემლის (სქოლიოზის) პათოლოგიების პრევენციის მიზნით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია:

- ა) თვალის პათოლოგიების გამოვლენა და პრევენცია;
- ბ) სქოლიოზის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით ორთოპედის კონსულტაცია და ხერხემლის რენტგენო-

ლოგიური კვლევა. გ) ოფთალმოლოგის კონსულტაცია ონკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევა და პრევენცია. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ონკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევა და პრევენციის მომსახურება ონკოდაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის, კეთილსამიგდო პროგნოზის უზრუნველსაყოფად.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გინეკოლოგიურ დაავადებათა და ტუქუს კიბოს ადრეული გამოვლენა და პრევენცია.

პროგრამით გათვალისწინებულია: ა) გინეკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პრევენცია; ბ) ტუქუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციის მიზნით სოციალურად დაუცველი ქალებისთვის (70 000-მდე სარეიტინგო ქულა) მამოლოგის კონსულტაცია და სარძევე ჯირკვლის ექოსკოპია.

აღნიშნული პროგრამით მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში ერთჯერ. პაციენტები გამოკვლევების ჩასატარებლად განცხადების გარეშე პირდაპირ მიმართავენ პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას.

მამოლოგის კონსულტაცია; სარძევე ჯირკვლების ექოსკოპია; გინეკოლოგის კონსულტაცია; საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი წარმონაქმნის პრევენციული კვლევა; გინეკოლოგიური ექოსკოპია. სერვისის მისაღებად მიმართეთ კორპორაცია “ვეექსის” პოლიკლინიკას. მისამართი: ქ.ფოთი, გამსახურდიას 6.


ქალაქის კულტურისა და ღანწენების პარკის
რეკონსტრუქცია სსსს მუხუხლის აქაურობას



ფოთში კულტურისა და სავენების პარკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოხდება საფეხმავლო ბილიკების, სათამაშო მოედნების, ატრაქციონების, სკამების, სასმელი წყლის შადრევნების, დეკორაციული განათების ბოძების მოწყობა. მოხდება პარკის მწვანე ნარგავებით შევსება. განახლებული დასვენების სივრცე ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მიმდინარე სამუშაოს დღეს ქალაქის მერი გონა კურდღელია გაეცნო. პროექტის ღირებულება ორ მილიონამდე ლარს შეადგენს.

მივიწყებული პორტრეტები

ქაკუ აბრალავა - ხალხური სიმღერის ოსტატი



ფოთის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მცადინეობაზე ხშირად ნახავთ 80 წლის ჯერ კიდევ წელში მოუხრელ ხალხს... აბრალავა მათ ახალგაზრდები თვალში შესცქერებენ, მისი ტუჩების ყოველ მოძრაობას აკვირდებიან, მისი სუნთქვის სიხშირეს თუ ხანგრძლივობას იმახსოვრებენ...

შეკრებიდან და მღეროდა „კარირას“, „ოპოპოიას“, აქვე ასრულებენ თეატრალისებულ „დაბრალეს, სადაც გლეხებს ბატონებთან ბრძოლა ჰქონდათ... აბრალავის და მღეროდა მარულა, მხედრისაგან დაკუ სწავლობდა მხედრულს და უტუ მიქავას „აბა ულას“... აბრალავის და მღეროდა მარულა, მხედრისაგან დაკუ სწავლობდა მხედრულს და უტუ მიქავას „აბა ულას“... აბრალავის და მღეროდა მარულა, მხედრისაგან დაკუ სწავლობდა მხედრულს და უტუ მიქავას „აბა ულას“...

ჩემდღენ ბასა სამუშია, კოკი შონია დიტო შონია, დორთოე ფარცვანია. ხალხი გატაცებით ეტანებოდა მომღერალთა შეჯიბრებს. გამარჯვება ყოველთვის დაკუს რჩებოდა; დაკუს იმეთი პოპულარული გახდა, რომ არცერთი ქორწილი უიმისოდ არ იმართებოდა. ასე იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხალხური სიმღერების შესწავლას ორგანიზებული ხასიათი მიეცა. დაკუმ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდები ობუჯში, ჯგალში, საჩინოში, ლიაში და შემდეგ მთელ რიგ სხვა სოფლებში. მას მხარი მისცა სამეგრელოში ცნობილმა მომღერალმა თადა გოგუამ და ერთად ჩამოაყალიბეს სოფელ საბუმეში ძლიერი გუნდი. ამ გუნდმა სახელი გაითქვა სამეგრელოში. გუნდში თავი მოიყარეს ცნობილმა მომღერლებმა ნიკოლოზ ყვანიაშვილმა, ავქსენტი ბებიაშვილმა, ჯარგა ჯალაღონიამ, პლატონ ბებიაშვილმა, სამსონ ბაძაღუამ, ამ სოფელში ჩამოვიდა 1932 წელს კომპოზიტორი გრიგოლ კოკელაძე. მოუსმინა გუნდს, მოეწონა და რამდენიმე სიმღერა ფირზე ჩაიწერა. გრიგოლ კოკელაძეს განსაკუთრებით ოდნობა შეეწონა. ეს გუნდი ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ 1932 წელს ზუგდიდში ჩატარებულ სარაიოსტაშიორის ოლიმპიადაზე პირველობა მოიპოვა. ამ გუნდს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მომღერლებთან გალაქტიონ ჭეჭიძესთან, ივანე ჩომახიასთან, ქიონია და ბეგლარ აკობიტთან. გუნდმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1934 წელს ფოთში გამართულ ქუკუ ლოლუას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე. დაკუ აბრალავა ამ გუნდის მთავარი ძარღვი იყო. მის მოღვაწეობაში აღსანიშნავია ის, რომ გუნდშიც მუშაობდა და კოლმეურნეობაშიც სანიმუშო მშრომელი იყო. სხვათა შორის დაკუ აბრალავამ თავის კოლმეურნეობაშიაც ჩამოაყალიბა მომღერალთა წრე.

იღებს, როგორც პირველი კატეგორიის მომღერალი. ამ გუნდს ხელმძღვანელობდა დ. ფაცაცია. ამ პერიოდში ამუშავებდა და ქმნიდა დაკუ აბრალავა ისეთ საინტერესო სიმღერებს როგორც: „აბა მიწი“, „დიანთილი“, „იერიში“, „ედემის ბაღი“, „მგზავრული დასხვა“. 1949 წლიდან დაკუ აბრალავა გადადის ფოთის ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხელკენების დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი ნიჭიერი მომღერალი მიხეილ ხავთასი. დაკუ ამ გუნდშიც ჩვეული ენერგიით მუშაობს, მან გუნდს შეასწავლა თავისი სიმღერა „ედემის ბაღი“, რომელიც რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ფირზე ჩაწერეს და ხშირად გადასცემდნენ ხალხური სიმღერების კონცერტებზე. დაკუ აბრალავა ამჟამად ფოთში ცხოვრობს, მას მუსიკალური ოჯახი აქვს, მისი შვილი გაზეთ „მგზავრული კოლხიდის“ პ/მგ. მდივანი შოთა აბრალავა, ფოთის ნინოშვილის უბნის კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელია. შვილიშვილს, მე-5 კლასის მოსწავლე ზურაბს მშვენიერი ხმა აქვს, რძალი ნორა ??? ჩინებული მომღერალია. ოჯახში აქვთ ჩოგბურთი, ფანდური, გიტარა, პიანინო. ნაუჯღდება ამ ტკბილ ოჯახს დაკუ აბრალავა და ახალგაზრდა მკვლევარ და ახალ ხალხურ სიმღერებს. სიმღერა დაკუ აბრალავას სტკიაა. - შიმშილს მოვითმენ, უსიმღეროდ ყოფნას კი ვერა, იტყვის ხშირად მოხუცი და მღერის. მღერის ოჯახში, ეთნოგრაფიულ გუნდში, ოლიმპიადაზე. მღერის და უმღერის ახალ ცხოვრებას ეს 80 წელს გადაცილებული მოხუცი. ტკბილი სიბერე დაუღვა ხალხური სიმღერის ოსტატს. იგი ხედავს, რომ მღერის არა მარტო მისი ოჯახი, არამედ მთელი მისი ქვეყანა.

როლიონ შოროშია, შურნალი „საბჭოთა სემლიკეა“, 1981 წ.

უპანასკნელი მომის გიმიკატი ბორცო კემულარია



ამ ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი საქართველომ გაიღო. ათათოხანებისა და ახალგაზრდა სამშობლო - საქართველოს ბრძოლის შედეგად. ბორცო კემულარია, როგორც ტანკისტი, გაშისტებს ებრძოდა ქერჩში. ცნობა მის შესახებ ოჯახს არ მიუღია - გვიყვება უცნობი ბიძის თაობაზე ჩვენი თანაქალაქელი ჯუმბერ კემულარია, რომელმაც ეს სურათი გადმოგვცა. ომის ყველა მონაწილე გმირია. რადგან არავის ჰქონდა გადარჩენის გარანტია. სინანული გუუფლება უკვალოდ გამქრალი, გაუხარელი სიცოცხლის გამო.

რესტორანი ქველის და ახლის თანაარსებობის ოაზისია



ტურიზმის ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურას, ქვეყნის ქალაქის ისტორიას, კულტურას, ხალხის სტუმართმოყვარეობას, მოგზაურების უსაფრთხოებას. ჩვენს უძველეს ქალაქ-ფაზისს და მის შემოგარენს, ბუნების ყველა სიკეთე აკრავს-ზღვა, ტბა, მდინარეები. მარტო არგონავტების მოგზაურობა და მსოფლიოში აღიარებული შედეგად რადღირს. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურაში მოვიკოჭლებთ, სასტუმროები, გზები კლაკები, საკრეო გემების აღდგენა ადარაა ფოთში. საბედნიეროდ, გააშინდნენ ინიციატივიანი ადამიანები და თანამედროვე და წარსულის მომცველი რესტორნებით დაამშვენეს ქალაქი და მისი შემოგარენი, მათ შორისაა-წარმართული ბიზნესმენი, კარგი ფოთელი ბატონი სოსო ნულოშია. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ყურადღებას იპყრობს რესტორანი „ქველი სახლი“. მაგრამ ახალმა რესტორანმა, რომლის წყაღვა-მყოფი ხიდის გადაღმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რესტორანი კარა, რადაც ეთნოგრაფიული კუთხვა გამორჩეული ექსტერიორია და ინტერიორით. მოკლედ, ირგვლივ საოცარი ბუნებაა - რომანი, როგორც ამაზონიდილი ტყეებით. რესტორანი თითქოს მუხეუშია ღია ცისქვეშ-ვაზებ შემოხვეული ხეები, ურემი, ქვევრები და უამრავი სიძველე ამ დიდი კუთხისა. ინტერიორი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია-ბუნარი, ფიროსმანის ნახატი და უმად გამახსენდა „თასით დვინო და ალალი მგობრები, რას ინატრებს კაცო ამის უკეთესს“. აქ რა დონის სტუმარიც არ მოიყვანო - განცვიფრებას ვერ დაშალავს, ტრადიციული და ოჯახური კერძები ხომ პროფესიონალების მომზადებულია, აქ გატარებული დრო დაუვიწყარია. ერთხელ მაინც ეწვიეთ აქაურობას. გაიხალისეთ და გაიხანგრძლივეთ ცხოვრების დღეები, ეს არის ძველის და ახლის თანაარსებობის ოაზისი.

მთლიანად ახალი ალაშიას ან იმ ბაღშია დანს გაუპარჯოს...



დაბადების დღეს გილოცავ. ჩემო ანა, შენი ყოფნით, ცხოვრებით, უმთიელ-ობით ყველას დიდ ხიბსტულს გვანიჭებ. ამიტომაც ყოველივე სიკეთეს, ბედნიერებას და ხიბსტულს გიხუტებ მეუღლესთან, ცეხარ წულასთან ერთად. დე, მარადი სიყვარული იყოს თქვენი მეგზური ცხოვრების დიდ გზაზე. თქვენი რუსუდან კაკულია

სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

ფოთის სახელოსნო სასპორტო სკოლა

ვალერიო მაქაჯარიას სახელობის ფოთის საცხენოსნო სასპორტო სკოლა იპოდრომის ტერიტორიაზე წლებია ფუნქციონირებს და აქ მრავალი დოლი თუ მარულა გამართულა



იპოდრომის დირექტორი და საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული სახეობების და თამაშობების ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი.

პაატა ასათიანი 9 ივნისს ფლორიდის შტატის ქალაქ ოკალაში გამართულ წმინდა სისხლის ცხენების აუქციონზე იმყოფებოდა. მისი თქმით ცხენების საშუალო ფასი მათი გამოყენების მიხედვით განისაზღვრება. უნივერსალური ცხენი მოყვარულთათვის 2-3 ათას დოლარამდე ღირს. ცხენები კი რომლებიც სხვადასხვა საეთაშორისო შეჯიბრებაში იღებენ მონაწილეობას, შესაძლოა მილიონობით დოლარამდე ღირდეს

ამიერკავკასიაში კი პირველი ცხენსაშენი 1903-05 წლებში მუხროვანში და შემდეგ კი ყულარში სომეხმა ბიზნესმენმა და მეცენატმა მენუთოვმა ააშენა. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაყარა საფუძველი სუფთა სისხლის ცხენების გამოავლენას საქართველოში.

2001 წელს ქართველი ბიზნესმენის მიერ ყულარის ცხენსაშენში სისხლის განახლების მიზნით აშშ-დან ჩამოყვანილი იქნა ორი ერთეული სუფთა სისხლის უღაყი სახელად "ჩერმენი" და "მუგამი".

როდის და როგორ ქალაქაზი ითავაზებს საქართველოს ნაკრები ევრო 2020-ზე გასვლის შემთხვევაში



უეფამ საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე 2021 წელს გასამართი ევრო 2020-ის სრული კალენდარი გამოავლინა და დაასახელა ქალაქები და თარიღები, სადაც ჯგუფური ეტაპის შეხვედრები გაიმართება.

თუ საქართველო ევროპის ჩემპიონატზე გავა, მოხდება "F" ან "C" ჯგუფში. "C" ჯგუფში მოხვედრის შემთხვევაში ჩვენს ეროვნულ გუნდს ორი მატჩის (13 ივნისს ავსტრიასთან და 17 ივნისს უკრაინასთან) ჩატარება რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მოუწევს. ერთისა (21 ივნისს ნიდერლანდების წინააღმდეგ) კი ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში. თუ ჩვენი გუნდი "F" ქვეჯგუფში მოხვდა, 2 მატჩს (15 ივნისს პორტუგალიასთან და 19 ივნისს საფრანგეთთან) უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ჩატარდება. 1 მატჩს (23 ივნისს გერმანიის წინააღმდეგ) კი მიუნხენში გაემართავთ.

ჩემი უსაყვარლესი ლენა ბებო არღაპინყებას!



და ღირსეულად წარსდგენ უფლის სამსჯავროზე, ქვეყნისა და ხალხის, შვილების და ადამიანთა წინაშე ვალდებულნი ვართ. ვინც ექვს ათეულ წელზე მეტი ღირსეულად ზიდეს ცოლ-ქმრობის უმძიმესი ტვირთი.

ცხოვრებაში ერთადერთხელ არ შემისრულეს თხოვნა ჩემმა ბებომ და ბაბუმ, როდესაც სამი წლის უკან საქართველოდან გამგზავრებისას ორივეს ვთხოვე, რომ ისეთივე მხნე, ძლიერი და თვალნათელი დამხვედროდნენ, როგორცსაც ვტოვებდი. დღესაც მახსოვს მათი ბოლო ჩახუტების სიტბო და სიტკბო, თვალცრემლიანი გამოთხოვება და ტკივილიანი განცდა იმისა, რომ ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს ვემშვიდობებოდი. მთელი წელი, ყოველდღე ვურეკავდი ჩემს ბებოს, ვამხნევებდი, ვანუგეშებდი და ვგრძნობდი საკუთარ უსუსურობას, თუ როგორ გვეცლებოდა ნელ-ნელა ხელიდან ჩვენი საყვარელი ადამიანი...

წავიდა და წაიღო ჩემი გულის ნაწილი, რადგან მთელი გულით ყველაზე წრფელად, წმინდად და უანგაროდ ვუყვარდი დაბადებიდან განშორებამდე და შემდეგ ბოლო

ამოსუნთქვამდე. ლენა ბებო იყო, არის და იქნება ქართველი ქალის სილამაზის, ღიმილსივრცის, კდემამოსილვის, სიკეთის, სიტბოს და ადამიანური სიყვარულის განსახიერება, რომელმაც მე და ჩემს დას გავსწავლა კეთილ საქმეთა კეთება და შეგვაყვარა ყველაფერი ის, რითიც ადამიანი ფასობს. შენს ამაგს ვერასოდეს გადავიხდით, ჩვენო ბებო! დღესაც ვგრძნობ შენს მფარველობას, გვერდში დგომას, სიტბოს და სიყვარულს...

მადლობა თბილი, ტკბილი და ლაღი ბავშვობისთვის, რომელიც ჩემთვის და თეკლესთვის შენს ზეცად ამაღლებასთან ერთად დასრულდა. უფაღმა მარადიული სასუფეველი

დაგიმკვიდროს! ვლოცულობ ჩემს მამიკოსთან, დედიკოსთან, დასთან, მეუღლესთან და პატარა დათუნასთან ერთად, რათა ზეცად ამაღლებიდან მე-40 დღეს უფაღმა დაგამკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ! მშვიდობით, ჩემო ტკბილო ადამიანო! მიდიხად, ტკბილი გქონდეს მგზავრობა!

ელენე პაატას ასული გვეგნაგა-როზინა სამერაპის შემოთბუღი შტატი, ქალაქი პალმ-პოსტი

ქალაქის საველიცინო და სპორტულ საზოგადოებას უღროოდ გამოაქლდა მისი ღირსაული ნაწილი თამარ შარაზალიძე



თემურ შერეზადიშვილი დაიბადა ქალაქ ფოთში 1956 წელს. დაამთავრა 5 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ფიზიოთერაპევტის სპეციალობით.

თემურ შერეზადიშვილი იყო 1973 წლის საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის გამარჯვებული კრივში 63 კგ წონით კატეგორიაში. ის

აგრეთვე, პარალელურად წარმატებით ასპარეზობდა აკადემიურ ნიხბოსნობაში.

თემურ შერეზადიშვილი წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი 1913“-ის ფიზიოთერაპევტად, ხოლო გარკვეული პერიოდი იყო საქართველოს ფეხბურთის პირველი ნაკრების ფიზიოთერაპევტი.

თემურ შერეზადიშვილი პარალელურად მუშაობდა ფიზიოთერაპევტად ქალისმიერ სამჭიდში. ის იყო ნიჭიერი, ყოველმხრივ განათლებული პიროვნება, უყვარდა ადამიანები-ხელოვნება, წერდა ლექსებს.

სპორტულმა საზოგადოებამ თემურ შერეზადიშვილის სახით დაკარგა თავის საქმეზე უანგაროდ შეყვარებული სპეციალისტი და ყველა ფოთელი სახათვის საყვარელი ადამიანი.

ლენა კონდრაზას ასული არჩაია-გეგენაძის

ღავით სვირიას სსოვნას ჩუმაღ იცსოვრა, ჩუმაღ ვაპიდა...

კიდევ ერთი ნაღდი კოლხი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, სულით ხორცამდე მეგრელი, მისი ყველა საუკეთესო თვისების მატარებელი, ღირსეული და კაცთმოყვარე, ალაღი და უღალატო. ჭალადიდის ჭაღებში გაიბრინა მისმა ბავშვობამ, სულ სხვა სიბლი აქვს ამ მხარეს, ფაზისის სიახლოვეს, და, ფაზისის შემკვიდრეს. წინაპართა გზის გამგრძელებელი მათი ადათწესების დამფასებელი-სტუმართმოყვარე, აკვარგიანი, სხვათა ჭირის გამზიარებელი, მეგობრული, ახლობლების იმდი. კიდევ ბევრი რამის დაწერა შეიძლება, რის გამო იგი ძალიან დაგვაკლდება და მოგვენატრება. ბოლო წლების ცხოვრების უკუღმართობამ შეარყია მისი ჯანმრთელობა. ყოფაც გაუსაძლისი გახდა, ოჯახი, მეუღლე, შვილები, რომლებისთვისაც ყველაფერს აკეთებდა და მათი სიკარგე, სიჯანსაღე ახარებდა.



ეტყობა, დაიღალა ცხოვრებასთან ჭიდილში, თუმცა, იმდენად ძლიერი იყო ფიზიკურად, მის წაქცევას არავინ ელოდა-მაგრამ ადამიანი ერთხელ გატყდება, თურმე ნერვებიც უღალატებს, თავს უსაშველო ტკივილი დაატყდება.

მიდის და მიაქვს დარდი ამ ქვეყნის დაუნდობლობისა, ბოლომდე ვერ გაიარა ცხოვრების გზა, ვერ გაიხარა, ვერ დატკბა, ძალიან გვენანება. ისე ჩუმაღ წავიდა, უხმაუროდ, როგორც სხეული.

სიცოცხლე კაცად ყოფნის სვედა ყოფილა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

გაჰმითის- „ნიკოლაძის გზით“ რედაქცია